

ԵՐԵՎԱՆԻ ՀԱՅԱՍՏԱՆԻ

ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԱՅԱՍՏԱՆԻ
- ԵՐԵՎԱՆԻ ՀԱՅԱՍՏԱՆԻ -



-1919-

ՀՈՅԵՑՑԵՐԸ, № 12

ნებაზაფრანი

საქართველოს მთავრობის
კურნალი.

თბილისი 80630. ✠ დეკემბერი, 1912 წ.



293

დადა: — შვილი, — სურათი სოლისტი.



I—დედა-შვილი,—სურ.	სოდართისი	1
II—„ქრისტე სოფელს ევლინება“, —ღუქრ. მუდან- შვილის.		3
III—ტყე ტიროდა,—გაფ-ფშველასი		4
IV—საკულეველი,—საშეპათ მოთხრობა ა. ევდოშვილისა		9
V—ობოლი ჩიტი,—ღუქრ. ნინჭვაძის		18
VI—არისლი და მისი მეგობრები,—ედ. ელიაზასი		21
VII—ზღვა,—ზღაპარი ევალდისა (თარგმ.) დარიკო აბედია- შვილისა.		26
VIII—არისტო ვასილის-ძე ქუთათელიძის ხსოვნას — ქ. ქ—ძის.		40
IX—საქართველო,—(რწმენანი დ წერებულებანი, გაცრტვება) მ. ჭანაშვილისა		43
X—აბრეშუმის ქია,—(დას. სრული) იტა ჩაქაშვილისა		52
XI—მითოლოგია,—ტროალის ომი,—აჯ. შიქაბერიძისა		57
XII—გისართობი: შარადა და გეგორაფიული ამოცანის აღსნა		64




ქრისტე სოფელი

ეპლინება.

მოვლი მიწას თეთრადა ჰრითავს,
მსუბუქ საბნად ეფინება,
დასჩურჩულებს ნეზარ იმბავს:
„ქრისტე სოფელს ეცლინება.“

ნადგი მოსჭრეს... თვის სამყაროს
დაეთხოვა ლოცვის მოქმედი,
რომ მორწმუნე ხალხს ახაროს
ქრისტეს შობა, ახალ წელი.

ი. მედლიშვილი.





ଠପା ଠିଳନ୍ଦା.



ଶିରୀ, ଡାମ୍ଭରୁଣ୍ଡି ରୁପୁତ ଶୈଥିନ୍ଦ୍ରପୁରୁଷଙ୍କ
ମର୍ଯ୍ୟାଳୀନୀୟ ଫିଲୋ ଗୁରୁତ୍ୱମୁଣ୍ଡି ଇମିତାଦା. କା-
ଲାଇ, କାପା, କାହୁରୁକୁ ଦା କାଲାଙ୍ଗବି ଗୁରୁତ୍ୱମ-
ନ୍ଦ୍ରଶି ମୁଖିକୁଟ କରୁଥାଦା! ମନ୍ଦରେତ୍ରସୁଲୁଣି
ନାହିଁଲାଣ ତାଙ୍କ-ପାରାଳିବାନି ବାଲନ୍ତି ପୁଣ-
ପୁରୁଣାସ ବାହେନ୍ତି ବିନାମ୍ବନ୍ଦୁକିଳି ଦା ଶେରନିକୁର୍ରୁ-
ଦିଲି ଅଳମ୍ଭରି ବସିଥାଏଇବା, ପୁରୁଣାସ ମାଘେନ୍ତି ଲିମିଲାଣ ପ୍ରିମିପ୍ରିମିକିଳା;
ବାଲନ୍ତି ତାଙ୍କ ଡାମ୍ଭରୁଣ୍ଡନାହୁଦା ଗାଢିନ୍ତିଲ ବାରାନ୍ଦରୀମ୍ବି, ରାମମେଲାଙ୍ଗ ଏବଂ
ଶୁଣିଲାଗ ମନନାଦିକୁର୍ରୁକିଳି କିମ୍ବାକ ରୁପୁତ ଶୈଥି-

ლი, ტყის გულ-მკერდით და ლალად გაზღიული; ოვალუნები დახოცილი თვალები, მღვრიფ წყალში უცურავდა; ენა გად-მოეგდო.

მონადირის ცხენებმა რომ ნახეს მკვდარი ირემი, ფრუ-ტუნ-ხრუტუნით გაშორდნენ, ზურგი აქციეს, არ უნდოდათ მკვდარი ირმისათვის ეცექირნით; ამიტომ შორს, ველის ბოლო-ში, მწვანესა სძოვდნენ, საბელ-ათრეულები. ბალებმა ირემს ჯერ ვერ მისწონეს და ახლა-კი რქის ტორებზე ებლაუჭებო-დნენ.

„ჩქარა გაატყავეთ, ჩქარაო!“ ინიუებდნენ ქალები: „ენა-ხოთ რა გემო ექნება ირმის მწვადსა!“

ერთმა ვიღაცაშ დაიძახა:

— მოდით, ქალებო, ვიდრე მწვადი შეიწოდეს, ჰაერი შეეისუნთქოთ, სისხლი ავამოძრავოთ, უფრო შევირვებთ. აბა, მაშ—ვიდრე მწვადი შეიწოდეს, დაირა, დოლი და დიპლიპიტო!

— ძალიან კარგი იქნება, კარგზე კარგი, — წამოაყრინ-ტა-ლა დიდ-ულვა შებიანშა კაცია და პირველმა თავად დაიწყო ტლინკეა, ნავარდობა ნაიალიარს ხავსივით; პირველად ხელ-გაშლილი ის მიეგება დაირისა და დიპლიპიტოს სმას. იმას მოჰყვნენ სხვანი, დასრიალებდნენ მწვანეზე, სიცოცხლითა სტებებოდნენ. ზოგს არ ეცალათ: ირემს ატყავებდნენ. ირმის მოკვლა მშიარულებას აათკეცებდა; აუსრულდათ ყველის ნინატრი: მოპელეს ირემი. იმიტომ არ გამოიქცა ველიდ ეს ამოდენა ხალხი, რომ ირემი ან შველი უნდა მოკვლათ, და მო-ჰკვლეს კიდევაც. გულის წადილი აუსრულდათ; დღეს ბეჭნიე-რები იყვნენ ყველა იქ მყოფნი. მხოლოდ ტყე, გარემო ბუნე-ბა, არ იყო ბეჭნიერი; ტყე ტიროდა, ტიროდა დიდი ფერდა, კალთა მთისა, რომელიც მდელოს, საცა ირემს ატყავებდნენ, თავს დაჰყურებდა. შევის ტყით დაფარული სერები ოხერა-კვენესას, ნიავის მიერ მოტაცებულს, იმ მდელოს აფრქვევდნენ. სადაც ხარი ირემი ესვენა.

მხელეანი ხეები — ქაცხვები, მუხები, თელები, ბრუკები, ვერზეები, წიფლები, არყები, იფნები და სხვა-და-სხვანი ვიშვებელნენ; ყველამ ერთად გაიგო, თუმცა კარგა დაშორებით იღვნენ ერთი მეორეზე, თავიანთი საყვარელი შეილის სიკედილი. ტყე არის ირმის დედა, ძუძუს ტყე აწოვებდა, აკანს ტყე ურწევდა, საბნადაც ტყე ეხურებოდა. ტყე შეპხაროდა და შექფოტინებდა ხარ-ირებს, თავი მოსწონდა ტყესა, რომ ისეთი ახოვანი, მშვენიერი შეილი გაზარდა.

ირმის მშვენებაში თვით ტყისავე მშვენება იყო ჩაქსოვილი. სირურფე ირმისა დამამტკიცებელია ტყის მშვენიერებისა. ულაზათოს, უშოს, განა შეუძლიან ჰშვას მშვენიერება? ირემში ტყე თავის-თავსა ჰქედავდა, ირემი ამაგია ტყისა. აბა, სთქვით — ტყეს, რაზედაც კი ირემს თვალი და პირი მიუწვდებოდა, თუ დაუზოდია?! მიუდალ ტყეს ირემი უფლობდა, როგორც სრულ საკუთრებას; ტყეს ეს უხაროდა, როდი სწანდა: უნდოდა მისი შეილი, თვისი აღზრდილი, დამდგარიყო ლამაზი, ახოვანი, გონიერი და ლონიერი, სახელოვანი ვაუკაცი.


სიკეთე იყო, სიკეთე თვით ტყისა, როგორც შეილის სიკეთე არის მუდამ დიდება მშობლისა. მან — გამმე, ჩემო სილალეე, ვაკ, ჩემ თავს! გულში სინათლე ჩამიდებოდა, როცა გამივლიდა წინ და ლამაზ, უშზაკრო თვალებს დამაცეცებდა, — ამბობდა ტყეში მწვანე და ყვითელი ხავსით შემოსილი კლდე, — მუხისა და წიფლის ფეხვებით დაშან-თულ-დახლართული.

ირმებს, მოკლულის ამზანავებს, ვინ მოაცლიდა სატირლად, დამტრიხლები გარბოდნენ; თავის სიცოცხლე პქნდათ საზრუნოებლი. ტყეში ჰაშვმაც რომ გააფაჩუნოს, იმათ სიკედილად ეჩერენებოთ. თვალებს აქეთ-იქით ასულებდნ, ყურებს აკ-კვეტენ, — სმენას იმისვეილებენ, ნიავსა ჰყნოსვენ; აღამიანის სუნი მგლისაზე მეტად აშინებთ...

ტყე ტიროდა...



დიდობრონი მუხის ჩრდილოში სუფრა გრძლად ჰყოფილია
ულილი, სუფრის ნაპირები ეკუვევებინა ჩამწერივებულ ხალხს —



კაცი და ქალს. იყო სმი-ჭამა, დიდი ქეიფი, ჭიქების ჯახა-



ଜୁହୀ, ମୁଦ୍ରାଲ୍ ଗୋଟିଏରୀ, ଅନ୍ଧବାଲୋଳନ୍-ଦାର୍ଢବାଲୋଳନ୍ ଓ ଶିଖରକୁମାର ମହିତ୍ତାଙ୍କ
ରମେ ମନ୍ଦିର୍ୟା କ୍ଷେତ୍ରାଦ ତଥାଶ୍ରୀ, ଶ୍ରୀପୁଣ୍ଡିକାରୀ।

ମେଘ ଦାସାଗ୍ରହନୀସ୍ଵର୍ଗ ଗାନ୍ଧିଶ୍ଵରା; ବାଲାମା ବେଣୁତ୍ରେଦେଖନ୍ତା;
ମନ୍ଦିରକୁର୍ଯ୍ୟନ୍ ଶିବ ଫାଶାଶ୍ଵରୀଲାଦ ଗାୟଭୀଦନ୍ତନ୍; କାଲ୍ପନି ଶୁର୍ମରଣ୍
କାଲୋଗନ୍ତନ୍; ପାର୍ଵତୀ ପ୍ରେମିତ୍ତନ୍ ଅମ୍ବେଦରନ୍ତନ୍. ତାପ୍ରେସ ରାତ୍ରଦେଖନ୍-
ଦାତ୍. ଶ୍ରୀବନ୍ଦ୍ରମଦ୍ଭେଦ ଗୁଣ କାନ୍ତରୀଦ ଗୁଣଦେଖଦନ୍ତନ୍; ପ୍ରାଣ୍ୟଲା ମାତା
ମିଥିକ୍ଷରା ପ୍ରସିଦ୍ଧିତ୍ତାଦ ଶ୍ରେମଦ୍ୟେଶ ଗାମନୀତକ୍ଷାମଦା: „ହେବ୍ ନାତିରୀକୁ
ମୃଦୁଲୀପନ୍ଦି ଚାରି, କାଳିକା ମାର୍ଦିଦ୍ୱାରା ତାପ୍ରେସ ମେହିକ୍ଷେତ୍ରନ୍ତି ଦା
ନିରୀକ୍ଷନ ହୀନ ଦୀପିତ୍ତିନା”!..

ହାତ୍ତିରନ୍ତର ମନ୍ଦିରକୁର୍ଯ୍ୟନ୍ ଶିବ ନମ ଘୋଷିତ, କିନ୍ତୁ ରାତ୍ରଦେଖି
ଶ୍ରୀପୁଣ୍ଡିକାର୍ଯ୍ୟନ୍ ରୂପ ଦା କ୍ଷରତି ନରମିଳ ମାତ୍ରାକ୍ଷରାଦ ଏହି ଶାଶ୍ଵତ
କ୍ଷରାତି.

ତାତ୍କର୍ତ୍ତନ୍ତନ୍ତନ୍ ଶିବ ମନ୍ଦିରକୁର୍ଯ୍ୟନ୍ କମ୍ବାନ୍ତିକିଲନ୍, ମନୋରତ୍ନିଲନ୍-
ନୀ, ଦାର୍ଢିକା ପ୍ରେତ ତମିଲାଦ, ନେତ୍ର ମନୋଲାଦ ନାମ୍ରପତ୍ରଲାକି ପ୍ରେତିଲା-
ଦନ୍ତା, ବାନ୍ଦାପ କ୍ରତି ଶାତିଲ ଶିବାଦ ପ୍ରେତିଲା ଗନ୍ଧିଶ୍ଵରଦା ଦା
ନେତ୍ର ଶିବ ଶେଷପ୍ରେତନ୍ ଅଧେଶ୍ଵରାଦ ନରମିଳ ଶ୍ରୀପଦା ନେତ୍ରପଦା; ବା-
ନ୍ଦାପ ପରମାଦ ଶ୍ରୀପଦା ଗୁଣ ପାତାଲାଲା ଦା କାଳ-ପାତାଲ ଶ୍ରୀପୁଣ୍ଡି-
କାରୀକାରୀ, ମନୋରତ୍ନିଲାକା ନିମନ୍ତା, ଅକ୍ଷା-କ୍ଷର ନରମିଳ ଗାମନୀତପାତାଲା
ଦେଖନ୍ତି ପ୍ରେତ, ଏକାମିଳିକ ପାତାଲିକ ଶ୍ରେମଦ୍ୟେଶ ମାଲାପନ୍ଦିକ ନବରୀତି,

ରୂପ-କ୍ଷର ତୀରିକାରା ଦା ଅଭିନଦା: „ପାତାଲ, କିମି ଶାଶ୍ଵତପ୍ରାଣିନ୍
ଶ୍ରୀପଦା, ଦୀର୍ଘବ୍ୟାପ, ରାତ୍ରଦେଖି-ଲା ଅର୍ଦ୍ଧକାରିତା ଶେବନିତାନା ଶ୍ରୀପଦା,
ରକ୍ଷିତା ଦା ରାତିକାର ଦାଶ୍ରେଷ୍ଠପାତାଲ; ଶେବନିତ ପାତାଲପଦା ଦା ଦଲ୍ପିଲ
ଶ୍ରେମଦ୍ୟେଶ ପାତାଲିକ ପାତାଲା ପାତାଲାକାରା”.

ଶେଷକ୍ଷେତ୍ରମାତ୍ରା ରୂପ ଦା ତାନାପ ପ୍ରକାଶମଳି ପ୍ରକାଶପ୍ରେତାଦା.

ପାତାଲ-ଶ୍ରୀପଦା.



ს ა კ ვ ლ ე ვ ე ლ ი ლ ი ლ ი *) .



ოიტა, მოიტა უველაფერი, ადამიანო, ერთი. სანაქებო საკულეველი უნდა გავიკეთო!

— ვითომ, რატომიც არ იქნება სანაქებო? ვის ექნება ამისთანა ნაზუქი, ქიდა, ჩურჩხელა, ვაშლი, კომში; ამა ერთი ამ ჭათამს შეხედე!

— უძ, უძ, რა კარგია და რა კარგია, მართლაც, რომ კარგ ინდიურს სჯობია!

— რა ვრცი, შენი ჩხუბისაგან-კი აღარა ვართ და! საკუნქს

*) საკულეველი — კალანდა.

ნუ ღუბავთ, ცოტა დაუყარე, წარამარიათ ნუ პინური, უყიდა
ტქმ ხოლმე ერთ აღიაქოს.

— ეფ, შენც ერთი, თუ ღმერთი გწამს! აბა რა დროს
ევენია, ახლა ჩსუბზე ჩამომიგდე ლაპარავი, რაც იყო-იყო,
ახალ წელს ძველი ჩსუბი როდი უნდა მოიგონო ხოლმე.

ასე ლაპარაკობდნენ და ფუსფუსებდნენ ხოლმე საკელე-
ველის ვარშემო ბებია მართა და მისი მეუღლე პაპა — აღმას-
ხანი.

— მოიკა, ადამიანო, მაგრე არ იქნება, მოიკა მეთქი! —
შეუტია პაპა-აღმასხანშა, როდესაც მართამ თავის შეიღის-
შეიღის ტურიკელის ბედის-კვერი *) ხონჩაზე ლორის ხორ-
ცის ნატეხთან მოათავსა.

— არა, ბედის-კვერა და ლორის ხორცთან! ბედის-კვერა,
ხმალ-ხანჯალი **) ტური და ბასილა ***) ერთად უნდა ეწ-
ყოს, ნაზუქი, ქადა, ლორის ხორცი, ქათამი და ლეინო — ერ-
თად, ხილიც — უალკე კუთხეში; აი ასე, აი, უყურე და დაი-
სწავლე!

ბუტბუტებდა აღმასხანი და თან აწესრიგებდა საკელე-
ველს.

— რაო? დაისწავლეთ?!.. გუშინდელი ვარ, თუ რა არი?
დედა-ჟაცი ვბერდები, ყოველ წლივ საკელეველს ვაკეთებ და
ეხლა შენ შასწავლი სად რა და როგორ უნდა დავაწყო?!

— ეხლა სხვა „მოდნაა“, ადამიანო, სხვა „მოდნაა“! მოდ-
ნაზე უნდა დააწყო, და აბა შენ რომ არ იკი, სად რა გი-
ნახავს...

— შენ-კი მე ვიცი სუ „ჩინოვნიკებთან“ მიბძანდ-მობძან-
დები ხოლმე, აი!

— „ჩინოვნიკებთანაც“ ვყოფილებარ და „პრიპტავთანაც“!

*) ბედის-კვერას უტომენ საანალწლით იჯამში პატარეებს.

**) ხმალ-ხანჯალს — უმშისას გამოატობნ ხოლმე.

***) ბასილას აქობენ კაცის სახით.

— მერე შენი დაგლუჯილი ჩოხით სწორეთ სუფრის თავ-ში გამოგვიმდვდნენ! ფეტეო რო ჩამოვაყარო თავიდამ, შენ კონკი-ძეელებს ძირს ერთი მარცვალიც არ ჩამოჰვეარდება.

— შენ-კი მე ვიცი სუ ღრუბელნატორის ცოლივით დაი-არგბი!

— მო და მეც ეგ უნდა მეთქვა! მერე რომ არ დავიარები, ვისი ბრალია? ერთი კბა, რა არი, ერთი კბაც-კი არ მე-ლიჩსა, რომ ამ ბედნიერ დღეებში გარედ გაისულიყავ!

— რაო, ახლა პატარძლობა მომინდომე? გამიჯიელდი, შე ოჯახ დასაქცევო, თუ რა არი?

— შენ ისა სთქვი, რო ჩემთვის არა გემეტებარა, თორებ სიჯემლე რასა ჰქვიან! კარგი ჩატა არც ჯეელს მოსწყინდება და არც შობულს!

— იცი, მართა, რა გოთხრა? რახან არც დაირა გვაქს და არც „ბუზეა“, მოდი მე ტაშტს დაუკრავ და შენ კიდევ ითამაშე!

— იი, თავი-კი მოგიკვდეს ჩემი მასხარათ ავდებისათვის!

— რას იწყეველები, ადამიანო, შენ სულ ემაგრე იცი; შარშან ახალწელს იყო და ჩხები ამიტებე—იმიტომაც მე და შენ მოელი წელიწადი სუ ჩხებში გაიგრარეთ. ეხლა არი, და მეჩხებები. მერე ხომ იცი—თუ ახალწელიწადს იჩხებე, მოელ წელიწადსაც ისე გაატარებ.

— შენ-კი შენმა მჩემ სუ თაფლი გადმოგდის პირი-დან, ა!

— გაჩუმდი მეთქი, ადამიანო, გაჩუმდი, თორებ, მე ვი-ცი, ეგ ჩხები კარგად არ ჩაგივლის; ახალწელის ღამეა, ხუმ-რობა ხომ არ არი! ამდამინდელი დავი-დარაბა მოელ წელი-წადს გასტანს. ნუ დამნავსე, ნუ, ნუ, ადამიანო! წალი, და-ძინე, საკვლევლისაც მე ვიცი და საჭმელისაც.

— ბებიამ ახლა-კი იგრძნო, რომ გულ-მოსული აღმასხანი აღარა ხუმრობდა, წყნარად მოშორდა საკვლეველს და ლო-გინისკენ გაემართა.

— პოი, დასწყველოს ღმერთმა, ე რა ხასიათისა? ზოგიერთი
ნი ჭირიმეთ, ჰა? — ბუტბუტებდა საკვლეველთან აღმასხანი.

— არა, რისაც მეშინიან, რომ არ მცდება ხოლმე! შეზ-
ან იყო და სწორედ იმ ღმინდელი ღამეს ამიტება ჩხუბი: რა-
ტო ჩვენმა ძროხამ ხბო არ მოიგოვო. წელს არი და ისევ
ჩხუბი! მერე მთელ წელიწადს ხომ სუ ჩხუბი ამჟღება, წალი
და მოისვენე! ე ლეინო შაინც ტკბილად დავლიო.

დაუმატა პაპამ და მოიყუდა ლეინის ჩარექა პირზე; ცო-
ტაოდენი ღორის ხორცი ჩამოსჭრა, მაგრამ ქათამსკი მარ-
თას შიშით ვერა გაუბედარა.

— ჰაი, გიდი, ჰა, რატო ახლა ირმის მწვადები არა შიშ-
ხინებენ ცუცხლოებე?

ლაპარაკობდა მარტოდ-მარტო პაპა და თან კაჩხაზე ჩა-
მოკიდებულ თოფს ათვალიერებდა.

— ირმის მწვადები-კი არა, ჯეირნისა არ გინდა! — გამოე-
ლაპარაკი მართა ლოგინიდან.

— ადამიანო, დაიძინე, დაიძინე და დამანებე-მეთქი
თყვი.

— არა, რომელი მონადირე ხარ, რომ ირმის მწვადები
მომინდომე, ჰა?

— რატომაც არა! აბა, მიყურე იმაღამ როგორ დავაგრია-
ლო ე თოფი!

— დიდი რამე მომხდარი თუ კარებიდან თოფი გაისრო-
ლე აი! — კიდევ გამოაჯავრა მართამ.

— ფუქ! — გაცეცხლდა ახლა-კი აღმასხანი, უკანასკნელად
ასწიო ლეინის ჩარექა და, როცა კარგიდ გული იჯერა, ისიც
ბარბაცით ლოგინისაკენ წაეიდა.

ორივეს დაეძინათ. თოაბში თიჩუმე ჩამოვარდა. მხოლოდ
სანთლის მკრთალი ფერი გალერსებოდა მორთულ საკვლეველს,
მაგრამ მასზე მეტად საკვლეველსავე ეალერსებოდა პაპა და ბე-
ბის შეილი-შეილის ტურიკელს თრი თვალი. ის თუმცა ლო-
გინში. იწვა, მაგრამ არ სძინებია, თუმცა ისიც მოიღალო საკვლე-

ველის შორიდან ალერსში; უკანასკნელად ჩაიტკბანურის მიმდევა
რიდან ცარიელი პირი, გადაყლაპა რამდენიმე ცარიელი წერ-
წყვი და ნელ-ნელა წავიდა ძილში, თან წაიღო მთელი
საკვლეველიც, რის გამოც სიზმარში ხან ვაშლი ჩაუქრებოდა
ხოლმე პირში, ხან კომში მიახტებოდა ცხვირზე, ხან გოზინა-
ყი ეკვრებოდა ენაზე...

* * *

„ჟახურ! ჟახ! ჟახურ! ჟახ! ჟახ! ჟახ!“

მოისმა უკებ სოფელში იქეთ-იქიდან თოვების ჟახური და
გრიალი. უქსო კაცს ეგონებოდა—ხალხს მტერი შემოესიაო.
თოვი თოვზე გადიოდა, ერთი სახლი მეორეს ეჯიბრებოდა,
ერთი უბანი მეორე უბანსა.

— ადექ, ადამიანო, ადექ, არ გესმის? უველამ ჩენ და-
ვვასწრო, ადექ მეთქი!—სკემდა თოვის ხმაზე გამოლეიძებული
მართა მუჯლუგუნს მძინარე ალმასხანს.

— რომ? დაგვასწროვე? ვინ რა დაგვასწრო, სად გაგვა-
სწრო... ჩხუბი...

ლუდლუდებდა ალმასხანი და ვერ გაევო რაში იყო
ხაქმე.

— ჩხუბი კი არა, ადე, დაცალე-მეთქი, დაცალე!

— დავცალო? რა დავცალო? განა კიდევ დარჩა ჩარე-
ჭაში?..—ეკითხებოდა ძილისაგან გამოურკვეველი ალმასხანი.

— თოვი, ადამიანო, თოვი!

— ჰო, თოვი... თოვი-კი დაიკლება!

— თავის თავათაც დაიკლება, ვენაცვალე ჩემს „ყო-
რიძეს“ *).

მიუვო ალმასხანშა და ნელ-ნელა წამოდგა ზეზე. ჩატა-
შინკა და შაინც აღარ დასჭირებია, რადგან დაწოლის დროს
შოლოდ ტყერვი გაიხადა.

*) ყირიძი ძეველი მოწყობილების ოთვია.

როგორც იყო ჩამოილო თოფი, გაუსინჯა ფალია, გადონ
კარები, შეიყენა ფეხზე და მიიღვი მხარზე. „ შეისავისება
„ჩავკა! ჩამოქვრა ჩახმახმა, მაგრამ თოფი სდევმდა. „ჩავკა! ა
ჩამოქვრა შეორედ, მაგრამ არც მაშინ გავარდა. „ჩავკა! სცადა
მესამედ მონადირემ, მაგრამ შენ არ მომიკვდე!
— უი, უირი! დამიღვეს თვალები, პარშანდელივით ემარ-
თება; შარშანაც ძლიერ გავარდა! — წუწუნებდა მართა და შე-
რით უგდებდა უკრს სოფელში თოფის ხმის გრიალს.

„ჩავკა! სცადა კიდევ აღმასხანშა, მაგრამ ახლაც ამოოდ.

— ცეცხლი, აღმიანო, ცეცხლი... მუგუზალი მოიტა!

შეუძახა გულმოსულმა მართას. მართამ ბუხრიდან ცეც-
ხლიანი მუგუზალი მოაჩენინა.

— შე თოფს დავიკერ და შენ მუგუზალი დაადე უა-
ლიაზე! — ასწევლა აღმასხანშა მართას.

მართლაც აღმასხანშა თოფი გაისწორა, მართა უკან ამო-
კრა და გადაუდეა ფალიაზე მუგუზალი.

წუთი, და იგრიალა თოფმა.

— ჴ, გაგიწყრეს ღმერთი შენტა და შენს თოფსა(.). შეგ-
ჴამოთ წანგმა შენტა და ჩჩეც — იწუევლებოდა ბებია და კვნე-
სა. წუწუნით ძლიერ დგებოდა მიწაზე გაშლართული.

— ამაყენე, ადმიანო, ამაყენე! — ეხვეწებოდა მას, მასზე
უფრო მეტად ძირს გაქიმული აღმასხანი და თან. ხელებს უშ-
ვერდა საშველიდ.

ჩაენგებულმა თოფმა ისე ძლიერად დაქვრა მონადირე
აღმასხანს მხარში, რომ არამც თუ თითონ, — მისი მართაც კი
ძირს გაშლართა; რადგან უკან გაქანებული აღმასხანი მარ-
თას ძლიერად დაეჯახა.

— „რატო გზლა ირმის მწვადები არ შიშინებენ ცეც-
ხლზე. . . რატო იწმის მწვადები არა შიშინებენ“... მონადი-
რეს დამიხეთ და, მონადირეს! — აჯავრებდა მართა და ორივე
ხელით ეწეოდა აღმასხანს.

— ვითომც რატომიო! თუ-კი ჩეენ ორი ადამიანი კონდა
ხით უკან გადომებაფდო, წინ რომ ირემი სდგომორზ ჩეენ
„ყირიმს“, ვერ მოჰკლავდა თუ?!

— რატომ, რატომ ვერ მოჰკლავდა იმ დალოცულო ირემს.
შენი ხათრი რო შეენახა და თოფის ტუქთან გზლებოდა.

— ახა, ძალიან-კი დაიძახა, აი! — იკეთებდა გულს აღმას-
ხანი და ნატყენ მხარს იშინჯავდა.

— რა დროს მხარია, ადამიანო, მგონი მთელმა სოფელ-
მა უკელია კიდეც; გადი, გაიტა საკელეველი, მიულოც ბო-
სქლს, მარანს, ქათმ-ბატ-უნდოურს, ეზოსა და ყურეს!

— ეხლავ, ადამიანო, ეხლავ, მაგაზე ადეკლი რალაა! ას-
წი და გაიტა, ასწი და შემოიტა! მაგრამ ჩხუბს კი გაანებე თა-
ვი, თორემ მთელი წელიწადი ფათერავი არ დაგველევა, — მიუ-
გო აღმასხანშა და ასწია მოკაზმული საკელეველი.

— ბებიი, ჰა, ბებიი... ვედგე? ვედგები, ჰა?

გამოეხმაურა სახლში მარტო დარჩენილ ბებიას, ლოგი-
ნიდან, თოფის ჩმაზე გამოლენდებული ტურიკელა.

— ადექ, გენაცვალოს ბებია, ადექ! აი, ახლა საკაა პაპი
საკელეველსაც შემოიტანს, მოგვილოცავს, დაგვაბერებს,
ადექ, შენ გენაცვალე, — მიუალერსა ბებიამ და თან ტანისამო-
სის ჩატანა ვშველოდა.

აღმასხანშა ჯერ მარანს მიულოცა; მერე ბელელს პურით
ავსება უსურეა, ბოსელს სულ ჭრელ-ჭრელი ხბორების შემა-
ტება, შემდეგ-კი, რადგან საქათმეში უნდა შესულიყო, საკელე-
ველი გარედ დადგა.

„ოქვენამც გაგსუქებიათ ეგ კუპები, თქვენამც გიმჩავ-
ლიათ ათი-ათასჯერ, ჩემი საკენკის გამჩანაგებლები, ბებიას
საყვარლებო, ჩემთ საძაგლებო!.. — მიულოცა ქათმებსაც აღმა-
სხანშა და გაათავა ეზო-კარ-მიდამოს კურთხევა.

ძალიან ბნელი ლამე აზ აზი, ძლიერ-ლა ვიპოვე საკელე-

კელი!“ ჩათლაპარაკა მან, ასწირა საკულეველი და მომზადება
სალოცად გასწირა.

„კაკუ—კა-კუ!“ მოისმა პატარა ხანს შემდეგ სახლის კა-
რების კაკუნი.

— კარი გაგვიდე! — შეეხმაურა გარედან აღმასხანი.

— რა მოგაქვს? — შეეკითხნენ შიგნიდან.

— წმინდა ბასილა მობძანდება, მოაქვს: ურმით პური,
რუშით ლეინო, ტომჩით ფული, საქონელი მრავალი — ცხვა-
რი და ძროხა, აღმასხანიც თან მოსდევს! — უპასუხა აღმასხანმა.

— რა მოგაქვს? — გამოეკითხნენ კიდევ შიგნიდგან აღ-
მასხანს.

აღმასხანმა იყივე უპასუხა.

— რა მოგაქვს? — გამოეკითხნენ მესამედ.

— რა მომაქვს და ის, რაც გამატანეთ! — მიუვო ახლა-კი
სიკიფისაგან გულმოსულმა აღმასხანმა, ჰერა წიხლი კარებს-
და შევიდა სახლში.

— „შემოვდგი ფეხი, გწყალობდეთ ღმერთი, ფეხი ჩემი,
ჭალი ანგელოზისა“. მიულოცა აღმასხანმა, დადგა ხონჩი-
ძირს და გადაკუცნა თავისი ბებერიც და ტურიკელაც.

— აბა, აღმიანო, ახლა ხომ შევრიგდით, მაშ მოუსხდეთ
საკულეველს და ერთი კი ქეიფი გავატაროთ, — უთხრა აღმას-

ხანმა მართას და თვითონ ყველაზე წინ მოიკეცა საკულე-
ველთან.

— მე სულ იმას ვამბობ; რო ახალ-წილის ღამეს ჩეუბი არ
შეიძლება მეთქი, მაგრამ...

— კი, შენც ერთი!.. რაც იყო-იყო! — მიუვო აღ-
მასხანშია.

— აბა რა იყო? მაინცა და მაინც ისეთი არა მომხდარა-
რა. ხომ კარგად მიულოცე მართს, ბოსელს, საქათმესი..

— ისეთი მიულოცე, ისეთი, რომ — ჲ! აბა ერთი დანა მო-
მაწოდე, ქათაში დავჩეო!

— ისეთი ქათამი დაგიკალ, ისეთი, რომ... შეუქო მეტენი მართამ და წამოდგა დანის მოსატანად.

აღმასხანშა საკელეველისკენ ხელი გაიწიოდა, რომ ქათამი აელო, მაგრამ უცებ შედგა. ქათამი იქ აღარ იდვა.

„აღდ... აღ-დ... აფ... აფ... აფ!..“

მოისხა ამ დროს გარედან ძალუების ჩხუბი. აღმასხანი გარედ გავარდა, მას უკან მართა გაჰყვა. ეზოში მეზობლიანთ ძალით ეჩხუბებოდა ზათ ძილის. მოხარშეული ქათამი ერთი პირიდან, მეორეში გადადიოდა და სძიძგნიდა ხან ერთი ძალი, ხან მეორე.

— უი, უი, უი! — დაიკრა მუხლებზე ხელი მართამ და აღმასხანს თვალუები გადაუბრიალა.

— გავატიალებთ, თუ მე მერმის საკელეველი გარედ დავდგა, როცა ქათმებს მიუულოცავ!

დაემუქრა აღმასხანი და ორივე სახლში შევიღნენ.

— ეს სულ შენი ბრალია! — უსაყველურა აღმასხანშა ბებიას.

— რაო, რაო? ჩემი ბრალია, ეცეც ჩემი ბრალია?

— დიახ, რო შენი ბრალია, აკი გეუბნებოდი ნუ სჩუბობ, თორე მოელი ჭელიწადი ფათერაკი არ დაკელევა-მეთქი!..

— ესეც ჩემი ბრალია? ესეც ჩემი ბრალია?

დაიძახა ბებიამ და მიიშვირა შედებულ კარებიდან ხელი ტურიკელაზე, რომელიც ჩურჩხელას, ვაშლს, კომშს და გოზინაყს სუ ერთად იტენდა პირში.

„შემოვდეი ფეხი,


„ქათამი შეონდა ერთი,

„ისიც ძალუებმა მომტაცეს,—

„გაუშერათ ღმერთი!“

შემოილამართავ. პაპამ, ვალაპხვია ხელი თვის ბებერს და ტურიკელისთან ერთად მოუსსდნენ უქათმო საკელეველს დროს გასატარებლად.

ი. ევდოშვილი.





ოპოლი ჩიტი.

¶ იმთარი იყო, ბარადა
თოველი ფერფლადა ცვიოდა;
სუსხით გათოშილ არეში
ქარი მწუხარედ ჰეიოდა.

* * *

სლუმდა გარემო, სოფელი,
ჰყონავდა, მე * ად ციოდა...
ეყალზე იჯდა ჩიტუნა
და ცრემლ-მორევით ჩიოდა;

* * *

აჲ, გაზაფხულო ნეტარო,
კეკლუცი არე-მარეო,
დღისით მზევ ცხოველ-მყოფელო,
ღამით შუქ-ნახო მოვარეო;

* * *

სხივზე გაშლილო ყვავილო,
ნუგემო ობოლ გულისო,



სიაშ-ს მომზადელებელო
და სახეց სიყვარულისო.



* *

ვაიმე! — დაგრჩით ობოლი,
თავზე დამკიცის ქარიო, —
გატიტვლებული გარემო,
შხოლოდ გლოვა და ზარიო... .

* *

ველს დაესია ყორნები,
აიკლეს მთა და ბარიო, —
სფეროს საბუღრად აჭკიდს
სამოთხის ეზო-ჯარიო.

* *

და შენ, სიცოცხლის ტრფიალო,
ყვავილო თბოლ გულისო, —
ფერფლი ხარ ნეტიარ სახისა;
სრულ-მქმნელო სიყვარულისო.

* *


და იწ გულში გაქვს სამარე,
იქ არის შენი ბინაო.
ვინც სულის სატრფო დაპკარგა,
ბნელი მიუძღვის წინაო.

* *

ასე კვნესოდა ჩიტუნა, —
თოვლი-კი ფერფლად ცვიოდა,
და გარინდებულ არეში
ქარი მწუხარედ ჰყიოდა.

6. ჩხიჯვაძე.





არჩილი და მისი მეგობრები

Sარჩილი ცხოველების დიდი მოტივიალეა: არ შეუძლია ლეკვებს, ძალლებს, კატებს, ქათმებს და სხვათ გულგრილად გვერდი შეუაროს. არჩილი რომ ქუჩაში გამოვა, ჯიბეებს პურის ნაჭრებით დატენილს გამოიტანს ხოლმე; მიტომაც მას ხროვად დასდევენ ქუჩაში ბინძური ლეკვებ-ძალლები. არჩილი ნამცუცებს უყრის და მით ბეღნიერია. არჩილის ახლოს ერთი მოედანია მტკვრის პირად: ეს მოედანი მის საყვარელი ადგილია; ის აქ პხედება არჩილი თავის საყვარელებს; აქ თავს იყრიან ცხოველებისაგან გარიული, პატრიონისაგან მოძულებული კველა მშეერ-მწყურეალე ცხოველები. აქ არიან კალ-თვალი წირპლიინი კნუტები, ფერდებ-შელეწილი, ბებრუუნაკატები.

თი ბებერი მურია ძლიერს დასავსავებს: პატრონის, მიმღების
სათვის მოხაკლიად ვერ გაუშერებია და აქ გამოუტანა ჩავას-
ზე ნაამაგდარი მურია! ვერ შეეძლო შრომა,— და აღარც არა-
ვის უნდა.

თი მტკვრის პირად, გაზაფხულზე აქა-იქ გდია ბედშევი-
ლევები. დედას ბევრი დაბადებია, პატრონის ერთი აუთალ-
თვალებია და დაუტოვებია; დანარჩენნი წყლისთვის მიუკია.

ერთი სიტუაცი აქ ვის არ შეხვდები. ზოგი სადღაც ნა.
პოვნ ვებერთველი ძელებს ჰქრიას; ზოგს ცული გადაუგდია და
სძინავს. ღმერთმა იცის—ეს გაუბედურებულნი, ცხოვრებისა-
ვან გარიყულნი—აქ თავს რად იყრიან? იქნებ იმისთვის, რომ
ამ ადგილოდან იმათ არავინ ერევება, არავინ უტატანებს,
არავინ სწიხლოვს.

პო, და თი, სწორედ ეს—გაუბედურებულთა, კაცისაგან
მოხულებულთა, განწირულთა სამეფო არის არჩილის საყვა-
რელი ადგილი. აქ მის შეეძლია მთელი დღე მარტო გაიტა-
როს, აჭამის საბრილო ცხოველებს ჯიბით მოტანილი პურის
ნამუსები. ეს გარიყულნიც რაღაც ნდობით უყურებენ არ-
ჩილს, რომელიც მათ ბედშევ ცხოვრების სითბოსა და სიკე-
თის შექით ანათებს.

შეუდგა პრილი ბუნების გაკოპურიავებას; გამოიკოკრა,
უვავილებით შეიმოსა მცნარეები; მწვანე მინდორ-ველებს
კარდები დაუფინა. არჩილი გამოვიდა თავის საყვარელ მოე-
დანს. გადადგა მტკვრის პირად. ერთ წუთს არჩილი რაღა-
ცას მიაშტრიდა: „თი, თი, შეხედე, — ლეკვები გადაუყრიათ,“ —
ზამთრბეტა ხმა-მაღლად, წამსევ ჩაეშვა დაბლა, ერთი ბედ-
ნერიად გადარჩენილი ლეკვი აიყვანა, გასწიმინდა ხალათის კალ-
თით.

„რა ლაშაზია! ბრალი არ არის ეს წყალს მისცე? ზინ
წავიყვანო? — იფიქრა არჩილმა. „პოო, რა დღეს დამაყენებენ
მამა, დედა, შხარეული დედაკაცი; თი, მესმის კიდევ, როგორ
ერთმად შემომძახებენ: „ეს რა მოგიყვანია! გასწი, წაიყვანე,
გადააგდე: აქ ცველათერს გააბინძურებს!“

კუველაზე შეტაც დედაყალი გაცხარდება: აქამ, და რა მარტო მარტო რემი საწმენდიაო. ამას წინად არ იყო — ჩემი ფუნთუშა თეთრი პირატი ღამე შესძევ სართულიდან გადამიგდო? ძლიერ გადავარჩინე. და მე-ვი მითხრა — დაიკარგო!

ბინდმა მოაწია. არჩილი არსად იყო. არჩილის დედა დიდად შეითავდა: „რა ვქნა, არჩილს არსოდეს არ დაპევიანებია; რაღაც კარგი ამბავი არ უნდა იყოს.“

კარგიდ რომ დაბინდდა, — ისე რომ კაცი კაცს ძლიერს იკრობდა, არჩილი სხლში შემოიტუხა... დედა გაანჩხლებული მივარდა: „სად იყავი? რად მომჟალი? რას აკეთებდი! ვისთან იყავი, — რად დოიცვიანე?“

არჩილი სდუმდა. უცურად მის უბეში ლექვი შეინძრა. არჩილის ფერმა გადაძერა; დედას ევონა — ჩემმა შენიშვნაში იმოქმედათ და უცებ არჩილს დაუყვავა. არჩილი გადარჩა.

უცელანი ძილს მიეცნენ. შეა ღამე იქნებოდა, რომ არჩილის დედ-მამას რაღაც წერტუნი მოესმათ. წერტუნი არ მიწყნარდა, უფრო გაძლიერდა, და ისინიც სანთლით ხელში შეუდგნენ ძებნას.

რას შეეძლო შემთხვევით შეორე სართულზე ამოსვლა? საბავშეო თათაში რომ შევიდნენ, ნახეს, რომ არჩილის ლოკინზე ერთი ფუნთუშა ლექვი დაბობდავდა. მშობლებს გაელომათ; ლექვს იჭამეს და არჩილს ნება მისცეს, პატარა ცხოველი დაეტოვებინა. არჩილის სიხარულს სახლვარი არა ჰქონდა.

რა უყოთ, რომ ფუნთუშისაგან გაფუჭებულ პრიალა იარავ მას აწმენდინებდნენ. არჩილი, ფაქიში არჩილი, თავის ფუნთუშისათვის გმირულად იტანდა კველაფერს. როცა ეტყოლნენ: „იბა, არჩილ, ინებე მოწმენდაო,“ — კრინტ-დაუძვრებად ასრულებდა ბრძანებას.

წათამამებულმა არჩილმა მტრედიც გაიჩინა, ფერადებით შეძება და მრანევა, მხარზე — მტრედით, ხელში ციკათი და გვერდზე ძალლით — არჩილს ხშირად შედაედნენ ამსანაფები, მოედანზე ამაყად და ბედნიერად მოსცირნეს...

კველაფერს ბოლო აქვს. არჩილის ბეღნიერებასაც მათ კველო. ერთ დილის, როგა არჩილი შევცვლად მოვარდა მკირცხლიდა, კველას რაღაც არავერ-ბრივი მოწყენილობა შეამჩნია! დედა აღარ ულიშის, სდუმს; კველა წყნარად და მდუმარედაა. დედაც, მოსამსახურებიც მიღი-მოდიან, ერთმანეთს არ უყურებენ და ჩურჩულით ერთ-ხელ თუ ეტყვიან ერთი მეორეს რასმეს: თითქო სახლში მო-ცვალებული ესვენოს.

არჩილი გაკვირვებულია. მიიხედ-მოიხედა: კველაფერი არეულ-დარეულია, წიგნები იატაზე ჰყრია; წიგნების შეაფი ლიაა და იმის წინ მოელი გორაა გადმოყრილ წიგნებისა. მა-მის სამუშაო თოახში საწერი მაგიდა ხომ სულ აფორიაქ-ბულია.

— რა ვქნა; ეს ვინ ყოფილი, ვის აურევია აქაურობა? — მამა არც-კი გაჯავრებულია. მე-კი ერთი ბეჭო ქალალდიც რომ შევაბრუნო მის მაგიდაზე, ხომ შავ დღეს დამაყენებს. ავერ-რა უქნიათ! ღმერთო—რეგბი ჩაუდენიათ! ვიძე: მე არ და-მაბრალონ!

მიიარ-მოიარა თოახები არჩილმა: იგივე არევ-დარევაა, იგივე სიჩუმე, იგივე წყნარად სიარული, იგივე ჩურჩულით ლაპარაკი.

— დედა, მამამ არ ნახოს საწერი მაგიდა: მე გამიჯავ-რდება; ღმერთმანი, მე ხელი არ მიხლია.

— არა, შეილო. მამა შენ არ გაგიჯავრდება: მამა წუხე-ლის წილუანეს

გიარა ერთმა კვირამ. მოსამსახურებმა ერთი მეორეზე იკრეს ბარგი და დასტოვეს სახლი. ეს კიდევ რა: ბარგი აალაგეს და სადღაც წაიღეს.

— არჩილ, აბა სად მიგავს ეგ მტრედი, ლევა და ციცა; შენ არც-კი იცი, რომ ჩვენ სხვის სახლში ვიქნებით, — შენი-შნა უფროსმა მმამ.

— საწოლი ხომ მექნება; იქ ჩემ ლოგინთან ვაყოლიებ; უპასუხა ამ შენიშვნით საკმაოდ შეფიქრიანებულმა არჩილმა გარეთ
არ გაუვლია ორ დღეს და არჩილის დედა შეიღებით
ბინიდან გამოვიდა.


ისევ ისე მდუმარებელ, ფერ-მკრთალმა და ტუჩებ-მოკუ-
მულმა დასტოა იქმორობა.

არჩილი—წინ მიდიოდა, კუელა მხარზე უჯდა, ხელში
ციცა ეყავა და გვერდით — მისი ნაამძღვარი ფუნქციუში მისდევ-
და. არჩილი გულს არ იტებდა. იხალ ბინაზე მის არც ეზოთ
ამ მეგობართაგანი არ შეაშვებინეს. არჩილმა იპოვნა ეზოში
ფიცრები, საჩქაროდ სახლი გააკეთა და ისინი იქ დააბინავა.
საჭმელს უზიდავდა და იჭმევდა. მხოლოდ ჭრელამ გაუკერა-
საქმე: ადვილად ვერ დაიმორჩილა, — ოთახებში იწყო ფრენა.
მაღვე არჩილმა ჭრელა იმავე ეზოში სახლის პატრონის შეილს
აწეუქდა.

თავს იმრთ ინუგეშებდა,—იმათ სხვა მტრედებიც ჰყავთ
და ქრელა ამხანაგებთან უფრო კარგად იქნებათ. ფუნთუშა
ვიღოცამ მოჰპარი. ციცა ახალ ბინაზე; მზირეულმა ოჯახელ
აიღნიდან გადისროვლა. ამას არჩილის გულმა ვერ გაუძლო,
და ისევ ამჯობინა თავის პაწია ბიძაშვილისთვის გაეგზავნა.
ამის შემდეგ არჩილს თითქო გული გაუგრილდა ცხოველებზე,
თითქო თვალისაც არიდებდა, აღარც მოჰყავდა, აღარც გაღე-
რსებოდა; წინანდელი სიყვარული ცხოველებისადმი თითქო
გაუქრია გულში.

„აფრიკა ასტროლოგი დღემდის; არ ვიცი—სამუდამოდ ასე და-
რჩება, თუ როდისმე მოიპროუნდეს მათზე გულს.

Digitized by srujanika@gmail.com



8 3 3 5.



მიყად ამართულიყო დედა-მიწა თვალ-უწვდენ, უძირო ზღვაზე. იქ—მაღლა, კლდის პირას, იშრდებოდა ნორჩი ტყე, ხამურად ბიბინებდა შევანე ბალახი, ჰლელავდა ცვავილებით აქრელებული ყანა. ფრინველები მხიარულიად ჭიკჭიკობდნენ, დანავარდობდნენ დიდი ირმები, ვლეხები ჰეხავდნენ მიწას. თავად გამოიყურებოდა კოშკი და ზედ ამართული აფექო.

ზევილან დაპყრობდა ლურჯი, კაშკაში ცა; დაბლა-კი
მოუსკენარი ზღვა შორდავდა და ბობოქრობდა.

რაც მსურს, იმას ვფიქრობ, — ამბობდა ზლეა, გუნდან კარგ გუნდაზე ვარ, კაკის ნაჭუჭაც-კი შეუძლია ითამა-შოს ჩემ ზურგზე; არაფერს ვერჩი. შეგრამ, თუ გავრჯოერდი, შეუბრალებლად დავამსხვრევ და მთანეთქავ დიდ გემებს. ამ დროს არავის ვინდობ ჩემ ზევით და ჩემს ახლო.

— მე-კი ყოველთვის ზევიდან დაგცემი, — დაიკეტა კამ.

— ეგ მთოლოდ დოტრიშა უწყის, ეინა ხარ, — ამაყად უპა-სუხა ზლეამ.

— შეუძლებელია არ მიუნობდე; მუდამ შენ ზეირთებში ვიხატები.

— როცა ვდელავ, მაშინაც? დაცინვით შეეყითხა ზლეა: ეგ ხომ ჩემ სურვილზე დამოკიდებული.

— ლურჯად რომ ვლებავ?

— ჰე, — გესლიანად ჩაიცინა ზლეამ: — ეგ ხომ ზლაპარია. მე უშენოდაც მაქვს საუთარი ფერი. ჩემ ცხოველებსა და მცე-ნარებს არა ვშეურთ ჩემთვის ეს წყალობა.

— მეონი სრულებით დაგავიწყდა, რომ მეც აქა ვარ, — უცრიად წამოიძახა დედა-მიწამ, — თუ შენზე დიდი არა, შენო-დენი მაინც ვარ.

— შენ? ზიზლით შეეყითხა ზლეა: — მართალია, ჩემ წინა-შე მთელი შენი დიდებით სდგეხარ, მაგრამ ნუ დაგავიწყდება, რომ ჩემი შექმნილი ხარ. იმ ამ ტალღებიდან ამომყავ თავი.

— სტუუ! — დაიღრიალა დედამიწამ, — სტუუ!

— რად გავიწყდება, რომ ჩემი ცხოველებისა და მცნა-რებისაგან შესდგები? აბა, თავს ჩაუკირდი.

— მომწყინდა ძველი არაკები; მაგ სიმართლემ ებლა და-კარგა ფასი. ჩემ ნიადაგზე ისეთი მცნარები და ცხოველები გაჩინდნენ, რომ შენსას ათასწილად სჯობიან. ვვონებ: ვეღარ შთანთქა ის, რაც შექმენი, — დაათავა მიწამ.

— რაც მსურს — იმას ვშერები; თუ მოვისურვე, გაგანად-გურებ, — უპასუხა ზლეამ.



— ენახოთ,—ჩაიღოპარავა მიწამ და ჩაწუმდა.

— ზღვამ ჩაიცინა, ცელქად შეათამაშა ტალღები ტალდევებს რეცხვა დაუწყო.

— გისურვეებ წარმატებას ამ უმნიშვნელო საქმეში,— ეუბნებოდა დაცინვით დედა-მიწა.

ტყე-კი ანძრევდა შტოებს, ბალისი ინძრეოდა, ყვავილები აფრევევდნენ სურხელებას. ირმები ლალად დანავარდობდნენ, ფრინველები საამურად ჰიკვიკებდნენ. გლეხები ჰენავდნენ მიწას.

დრო გადიოდა, ზღვა ცელქად ათამაშებდა ტალღებს, კლდეები-კი წმინდად ირეცხებოდა.

— შენ როგორლაც თავი შემაბეზრე,— ეუბნებოდა ზღვას დედა-მიწა.

— იმას ვშვრები, რაცა მსურს, — ვანგრევ იმას, რაც მე-კუთვნის.

— იცულლუტე, იცულლუტე, უსაქო ზღვავ! ჩემ მწვერვალამდე მაინც ვერ მოაღწევ,— აშბობდა მიწა.

გადის დრო, ზღვა შეუპოვრად განაგრძობს მუშაობას: უთხრის კლდეებს ძირს. ქარიან დღეში— კოშეში ნათლად ისმის ზღვის საშინელი ღრიალი. ერთ დღეს ჩამოიქცა კლდე, კოშერ, ტყე. საშინელმა ხმაურობამ დაპფარა ხალხისა და მხე-ცების სიკედილის მობასწევებელი გმინვა. ცაში-კი ისმოდა აქა-ფებული ზღვის გამარჯვების პიმინი.

სამი დღის შემდეგ ზღვა დაბჟულდა, მხოლოდ შორიდ-განლა მოსხიანდა ჩაქცეული, განახევრებული კლდე.

— დაბრუნდი იქ, საიდანაც ამოგიტანე,— ეუბნებოდა ზღვა დედამიწას:— მაგრამ შეიძლება ოდესმე ისევ იგაშენო.

— ბოროტო, ბოროტო ზღვავ,— აყვედრიდა დედამიწა.

ზღვა თავისას განაგრძობდა,— „რაც მსურს, იმას ვშვრე-ზომ“.

სადღაც შორს, ზღვის გალმა ნაპირზე, დედამიწა უსახოდა
სურათს წარმოადგენდა.

ახლად აბიბინებულ მინდვრებზე მოსჩანდა სახლები. სა-
ქონელი მაღიანად შეექცეოდა ნოყიერ ბაღაბს.

— ზღვისა მეშინია,—ამბობდა გლეხი,—მეშინია იმ მძღ-
თა-მძღ ქმნილებისა. იგი შერება იმას, რაც სურს. ძალუბს
შთანთქას ყველა ეს მინდვრები და საქონელი. მეშინია ზღვი-
სა: ჩემი ბედი მასზეა დამოკიდებული.

— აი, ეგ მომწონს,—კმაყოფილებით შენიშვინა ზღვამ:—
კუვიან ადამიანს ესმის ვინ არის ძლიერი და ვინ სუსტი.

ამის შემდეგ ზღვა შეათამაშებდა ხოლმე ტ ლადებს გლე-
ხის მინდვრებზე, თითქოს ეუბნება, „არ დაივიწყო, რომ მე
მძღეთა მძღ ვარო“.

გლეხი ამიგრებდა ნაპირებს, აკეთებდა ყორეს, ეგებ ამან
მაინც შეაჩეროს ტალღებით.

— ამათა ყველა ეს,—ეუბნებოდა ზღვა:—ამ ყორეს ად-
ვილად გადავლახავ.

— ვიცნობ,—მოწიწებით შენიშვნა გლეხმა:—მე მხო-
ლოდ შენთვის ვზრუნავ, —მინდა გაგიადვილო ტალღების
ცერიალი.

— კეთილი, —კმაყოფილებით უპასუხა ზღვამ.

— შეიბრალე ჩემი ზურმუხტოვანი მინდორ-ველები, —
ევედრებოდა ზღვას დედამიწა.

— რაც მსურს, იმას ვშერები, —უკეთად უპასუხა ზღვამ.

— ძლიერი ვარ, ძლიერი, —იმეორებდა ზღვა, სტო-
ვებდა მინდვრებს, მიღოლდა შორს; მხოლოდ კის ტატნობ-
ზე-და სიანდა მისი ბრწყინვალე ზოლები.

— ამ დროს ზღვის დატოვებული ძირი შრებოდა. „ეს—
უკუქცევააო“, —ამბობდა გლეხი.

მაგრამ ზღვა ისევ მაღე უბრუნდებოდა თავის კალაპოტს.
„ეს-კი მოქცევააო“, —ამბობდა გლეხი.

ერთხელ ზღვაზე ტიფი მოფრინდა:—ვერ გამოგრა ზღვის
საქციელი. წყალს უფრო და უფრო აკლდება, ფეხებს ძლიერს—
და ვისველებ,—ამბობდა იგი.

— ახალ მიწის ვაშენებ,—განაცხადა ზღვამ.

— შეენ?—გაკვირვებით შეეკითხა ტიფი:—შენებაც
გცოლნია?

— რაც მსურს,—იმას ვშევრები.

ერთხელ, როდესაც ზღვა ნაპირებს ჩამოშორდა, იმის
ძირზე გამოინდა შესანიშნავი მცენარე, წითელი და მჭეორვა-
ლე, როგორც შეშა; ფოთლების მაგიერ ლამაზი ყლორტები
ამშვენებდა: ყლორტებზე პატარა ყვავილები ესხა.

— შენ ვიღა ხარ? შეეკითხა ზღვის ბალახი: სრულიად
არ გვგვეხარ ჩენ, ზღვის მცენარეებს.

— მე არ ვეცუთნი თქვენ წრეს, დედა-მიწის მცენარე ვარ,
კალაქვა მქეია.

— მერე, არ გეშინია ზღვისა? როცა დაბრუნდება, ხომ
დაიღუპები.

— გიშველი; პატივს გცემ, რაღვან სარგებლობა მო-
გაქვს,—უთხრა გლეხმა და რუ გაუთხარა.

კალაქვას ესიამოვნა, გაიმართა წელში და ლრმად გარდა
ფესვები. იქვე მხიარულიად ფუსტუსებდნენ ზღვის ცხოველები,
სჭამლნენ ერთმანეთს, შემდეგ იხოუქებოდნენ და ასუქებდნენ
მიწას.

ზღვა-კი, ჩვეულებრივ, ხან შორდებოდა, ხან ისევ უბრუნ-
დებოდა ძევე კალაპოტებს.

— ჩემო კარგო, ძეირფასო კალაქვა,—ეალერსებოდა
ზღვა.

ექ, ისე იშეიათად გხედავ, მცველარო; ვერძნობ, რომ
მომელება ბოლო.

— გინდა ივლელდე?—შეეკითხა ზღვა.

— ღრერთმა დაგვიფაროს; რამ გაფიქრებინა? ხომ გამო-
ნადგურებ ნაშრომ-ნიადაგს. ისევ თავი შეიკავე და დამშვიდდი.

— რაც მსურს, იმის ვშვრება, — სთქვა ზღვამ, ემაგრამისა
მანც არ აღვლდა.

გლეხი იდგა და დაპყურებდა ახლად აღმოცენებულ დე-
დამიწას: ჯრჯერობით არაფერი შვილია, შემდეგ-კი შეიძლე-
ბა გამოდგესო.

ერთხელ ახალი მცენარე გამოჩნდა.

— შენ ვინა ხარ, რა გინდა? — ეკითხებოდა კალაქვა.

— მე ლრმად გავდგამ ფესვებს და გავამაგრებ ჩეილ
მიწას.

— გმიდლობ დახმარებისათვის. ვკონებ ჩეენი მეოხებით
აღმოცენდა ეს ახალი მიწა; ზღვაც მადლობას გეტყვის, —
უთხრა ახალ მცენარეს კალაქვამ.

— მე ზღვა სრულიად არ მიცნობს; მუდამ ესმს მიწას
ვდევთვნი.

— კმარა, — უთხრა კალაქვამ. — ვიცხოვროთ მეგობრუ-
ლად, მაგრამ ნუ დაივიწყებ, რომ ჩეარა ბოლო მოვეველება.

— ყველამ თავისითვის იზრუნოს, ყველის თავისი დრო
აქვს; ეხლა ჩემი ჯერია.

ცოტა ხნის შემდეგ, ახალი მცენარე ისე გაიზარდა,
რომ კალაქვა სრულიად დაჰტარა.

— გვიშველე, ვიღრინობით, — ჰეიოდა კალაქვა.

— ეგ ჩეეულებრივი მოვლენაა, — ამშვიდებდა ახალი მცე-
ნარე: როდესაც ყველა თავის მოვალეობას შეასრულებს,
ვალებულია ადგილი მოყვანს დაუთმოს.

— ზღვავ, და მეიწყდა მაგობარი? მოდი, მიშველე, —
ვკედეჩოდა კალაქვა, მაგრამ მისი ხმა ზღვამდის ვერ აღ-
წევდა.

ეხლა ზღვის ყვრალება იმ აღვილას იყო მიწეცელი,
საღაც ახალი კალაქვა იზრდებოდა და ლაშმ ჰკრეუდა.

ძველი კალაქვა-კი დალპა და გაანოუიერა მიწა ისე, რო-

გორუ წილად ხვდა „ზღვის ბალახს“. ისეთივე დღე დღესასვე — ახლად ამოსულ მცენარეს.

რამდენსამე ხნის შემდეგ ორეთა აჭრელდა სხვა-და-სხვა ყვავილებით. ფუტკრები ბზუილით პერეფინენ თაფლს. ტიფი სჩეკდა ბარტუებს, დედამიწა მკვიდრდებოდა.

— ეხლა-კი დროა მოვკიდო საქმეს ხელი,— სოქვა კმა- ყოფილებით გლეხმა, როდესაც ახლად აღმოცენებულ დედა- მიწას დაპხედა.

ამ დროს შორით მოისხა ზღვის ხმა: არ დაგვიწყდეს, ეგ მიწა შე განკუქე. გამკიცხავს ვინმე, თუ ოდესმე უჩვენე ჩემგან მიღებული საჩუქარი და უთხარი, კეთილმა ზღვამ მა- ჩუქა-თქმა.

— ვაძ, თუ დაგვიწყდეს; და ვაშმაგებულმა საჩუქარი უქან წამიათვა. კარგი იქმნება, რომ ყორეთი გავამაგრო, — უპასუხა გლეხმა.

— კეთილი, გააკეთე ყორე: იგი ყოველთვის მომავო- ნებს, რომ ეს მიწა შენთვის მიჩუქებია. მაგრამ, თუ გავჯავრდი, ვერაფერი შემაკავებს.

— ნუ გმინია, ჩემო კარგო, ჩემ დანიშნულებას ივა- რულებ, და შემდეგ არას ვინალვლი.

— განა შენტა გაქვს რაიმე დანიშნულება? — შეეკითხა ზღვის ბალახი დასუსტებული ხმით.

ზღვის ბალახი გვალვისაგან ხმებოდა.

— მე ერთ ადგილის ვაგროებ თიხას და ცარცს, ვემნი ლამს. ხომ იცი — რა არი ლამი? იგი დედა-მიწის საფუძველს ჰქმნის.

— მერე, განა ზღვა ნებას გაძლევს?

— მოიცა, ამას შემდეგში დაინახავ, — მიუგო კალაქვებ: — ეხლა-კი დაისვენე, რაღაც ცუდად გამოიყურები. შენ ხომ ჩემ- სავარ გამძლე არა ხარ.

ჩქარა ზღვა დაუბრუნდა თავის კალაპოტს. ზღვის ბალა-

ხი ელოდდა კალაქვის დაღუპვას. მაგრამ მოლოდინეფერაუბა
გაუშართლდა: კალაქვა თავმომწონედ შლიდა შტოებსა და უკორისება

— რაღაც შწვანე მცენარე ამომძერალა, ამბობს — ზღვის
მეოქებით დედამიწას ვაშენებო, — ეუბნებოდა ზღვის ბალახი
ზღვას.

— უგუნური ხარ, — უთხრა ზღვამ: — გვონია, რომ მე მარ-
ტო ვანგრევ ქვეყანას; ქვეყნის აშენებაც მიყვარს.

ზღვის ბალახი ჩაწუმდა.

— ნუ შფოთვე, ზღვაო, დამშვიდდი; ლამის მოკრეფას
მიშლი.

— ბოდიშს ვიხდი, ჩემო კარგო, — მოწიწებით მიუვო
ზღვამ, — კეცდები თვეი შევიკვო.

კალაქვამ გამართა შტოები. ტალღების ცემდა ამ შტოებს,
თიხის და კარცის ნამტვრევები ცვიოდა ძირს, და ზღვის ძირი
თან-და-თან ზევით იწევდა.

— ამისთან საკეირელი რომ არაფერი მინახავს: შეხეთ
ამ თავხედს: როგორ თავისუფლად ელაპარაკება ზღვას! — წაი-
ჭულლულ ზღვის ბალახმა.

— კალაქვა ჩემი პირმშო შეილია, ამბობდა ზღვა; ჩემო
კარგო, ლამაზო კალაქვა!

განცეიფრებულ ზღვის ბალახს ხმა ჩაუწყდა.

ტიფი გაფრინდა შორს: აუწყა ქვეყანას სიკეთე და ლმო-
ბიფრება ზღვისა.

გლეხი იდგა ყორეზე და ჩაფიქრებული გაპურებდა და-
წყნარუბულ ზღვას.

— რა კარგი რამა ხარ, ზღვაო; ვინ დაიჯერებს, რომ ამ
რამდენსამე დღის წინად ფაფარ-აშლილი, აქაფებული, ლრია-
ლით ეხეთქმებოდი ქვეყანას.

— კალაქვა, ძეირფასო კალაქვა! — დაუმახა ზღვამ.

— უმ, რა გინდა? საქმე კარგად მიდის; შენ-კი დაუდევ-
რობით ჟველაფერს აფუჭებ.

— ნუ ჯავრომ, ჩემთ გარეო, ნუ: მინდა შევიტორისტი
გვიდე და მეშინია შენი თესლები თან არ წავილო.

— მე საქმე უკვე კარგიდ მოვიდეორე: ოქსლებს ეკლები
შევისხი, რის გამო ჩემთან დარჩება. შევიძლია თავისუფლად
გაისცირნო და თან სხვა ლამიც შორიან.

— რა შორს მცველეობელი ყოფილხარ, ჩემთ ძირითადობო, —
შეაქო ზღვამ და გაიქცა.

რამდენიმე ხნის შემდეგ ზღვის ძირს კალაქვა მოეფინა, წყალის-ეკუთრო და უფრო აკლდებოლა.

— ნებას მომცემ აქ დაფურ რამდენიმე ხანი? — შეეკითხა კოლაქვას ზღვის ბალახი.

— გირჩევ ცოტა შორს გიცწიო.

— კეთილი; მაგრამ როგორ გაეიწიო, — ამბობდა ზღვის ბალახი; ქვაზე ვჩინარ, ქვა კი ისეა ლამში ჩაფლული, რომ ზღვაც ვერ დასძრავს, არამც თუ მე.

— რა ვქნა, ვერაფერს გიშეველი: შენმა დრომ უკვე განვლო, — ოდესმე მეც ამ დღეში ჩავეარდები.

არ გასულია დიდი ხანი, და ზღვის პირი სრულიად ამოიკეთო.

— გვალვის სუნს ვგრძნობ, — სთქვა კილაქვამ.

ეგ მშევნივრად ვიცი: მ.ხსოვს, როგორ...

— კმარი, კმარი, — შეაწყვიტა ზღვამ. მას არ უყვარდა, როდესაც ძველ აბნევს მოიგონებდნენ.

გლეხმა დაწყო მუშაობა, ააშენა ყორე, დათესა სხვა-
და-სხვა მცენარეები, მინდორი აღწევ ნდა; საქონელი ბალიაში
ჩატევდოდა.

ერთხელ გლეხი მიწას ჰპარავდა. ბარს დაუანგებული რკინა მოჰყეა. გლეხმა დაუწყო სინჯვა; ბევრი ატრიალი და ბოლოს მისხედა, რომ იფქიო იყო.

— ლმერთმა უწყის, რომელ სახურავიდან ჩამოვარდი.
რა ლამაზი ხარ! ვეგძ ოდესმე შევერცხლილიც იყვით.

* * *

გაფილა რამდენიმე საუკუნე. ერთმა თაობაში მეორეს ადგილი დაუთმო. ძალი მიწა ძველისაგან იღარ ირჩეოდა. მინდვრები მწერებდა ბიბინებდა. მენახირე მირეკავდა საქონელს, ასუქებდა, შემდეგ მიჰყავდა ყასაპთან დასაკლავად. გლეხ კაცი აშენებდა ყორეს, ამაგრებდა, მაგრამ ზღვა მაინც ესტუმრებოდა ხოლმე და ისევ უკან ბრუნდებოდა. მინდვრებზე სახლები გაშენდა.

იქვე იხლო გადაშლილიყო ზღვა. კალაქვა ჩვეულებისამებრ ლამს ჰქონდა, ახალ მიწას აშენებდა, მეორე მცენარე ამ მიწას ამაგრებდა. შემდეგ მუშაკები იხოკებოდნენ და ადგილს სხვა შცენარებს უთმობდნენ.

ა. ე გადორდა დრო.

ერთხელ გლეხის ბაღში ჰვინტა მოფრინდა. შემოდგომა იწყებოდა. მისმა ბარტყებზი ფრენა უკეთ ისწავლეს, საჭელიკი აკლდებოდათ. ამიტომ ჰვინტამ თბილ ქვეყნებში გაფრენა დააპირა.

— რა სამური ქვეყანაა; ცოტა მეტი ხეები რომ იყოს, გაზაფხულზე ისევ აქ მოვიჩინდებოდი, — სოქვა ჰვინტამ.

— ყველაზე უკეთესი ქვეყანა ვარ-ზღვის პარმშოშვილი: ზღვამ მშობა და მსხვერპლად თავისი მცენარე ცხოველები მომიტინა.

— მართლა? — გაკვირვებით შეეკითხა ჰვინტა: — მეკი ზღვა ბოროტი მეგონა. ქვეყანას ანგრევს და არაფერს აშენებს მეოქვა. მისიბე, როგორ აგაშენა. კიდევ ბევრი დრო მაქვს ს ლაპარაკოდ. დღეს თვრამეტი ბუზი დავიქირე. ამაღმა გზის შეუდგები.

მიწამ დარწყო:

— გესმის აგერ იქ, შორს, ზღვის ხმაურობაში ამ ზღვაში მშობა. ნეტა იკოდე — რა მოთმინებით და ალერსით მოქვინდა თიხის და ცარცის ნამტვრევები, ჩემ ასაშენებლად. რო-

გორუ გითხარი, — თავისი მცენარე და ცხოველებიც მიზინ
პლად შემწირა და საფუძველად დამიღო. იგი დაწყოდ იყო,
კიდრე გავმაგრდებოდი. დინჯად ყოფნა-კი მისთვის უდიდესი
მიხედვრპლია.

— მე ზღვის სხვა ძმავიც ვიცი. — უთხრა ქვინტამ; ის
შოთდა სადღაც შორს, შორ ქვეყანაში. ის ქვეყანა შენსახით
ლამაზი იყო, მაგრამ სულ სხვანირი ელფერი ჰქონდა. ამა-
ყად ამართულიყო თვალ-უწვდენი მოები. ზურმუხტის მწვერ-
ვალონი ცას ებჯინებოდა. ზედ ლამაზი, ნორჩი ტყე ისრდე-
ბოდა. მინდვრები და ყანები ბიბინებდა. ტყეში ფრანველები
საამუროდ ჭიქჭიკებდნენ. ლალად დანაერდობდნენ ირმები.
გლეხები ხნავდნენ მიწას. არე-შარეს ამშვენებდა სურნელო-
ვანი უფავოლები. კლდის პირას მოსჩანდა უზარმაზარი კოშკი
ოქროს აფექოთი.

— მერე, ჩა მოუვიდა ამ ქვეყანას? — აღტაცებით ჰკითხა
დედა-შიწამ.

— ეს ლამაზი ქვეყანა ზღვაშ ჩაიტანა.

— სტური, იგი ხანდისხან ჯავრობს, ლელიქს, მაგრამ ასეთ სისასტრიქეს არასტრონს არ ჩიცდენს.

— 33,—ჩიაცინა ჰეინრიხ და განაგრძო:—დღითი-დღე,
ზღვა რეცდა კლდებს, და ერთ მშენებელ დღეს ზღვა ისე
მშვიდად გამოიყურებოდა, ვითომც აქ არაფერიათ.

— მე მაინც არა მჯერო. ვინ გიაშბო ეგ ზღაპრები? — უკუკითხა ჭირის მიწა.

— ერთი მოხუცებული ბებია შეავდა, იმან მიაშნო.—
მას შეავდა ქმარი და ხუთი ბარტყი, რომლებიც იმ დროს
ზღვაშ იმსხვერპლა. რაღაც სასწაულით თითონ გადაარჩა,
მაგრამ ზღვის ვერაგობა არასდროს არ დავიწყებია. როდესაც
მეორე წელს იტალიიდან დაბრუნდა, სხვა ქმარს წა-
ყვა და შეიიღები გააჩინა: იყი სშირალ უძღვობდა ხოლმე
დედანებს ამ ამბავს. დედამ-კი მე მიაშნო.

— არა, მაინც ვერ დავიჯერებ, — უპასუხა დალონტულ ულავისა
მა მიწამ.

ამ დროს ჰეინტამ თვალი შეასწრო გადაგდებულ აფ-
ქიოს, მოუახლოედა და სინჯვა დაუწყო.

— ის აფქიო, თდესლაც ლამაზი იყო; ებებ იმ კოშკს
ეკუთნოდა, კლდის პირას რომ იყო ამართული. აბა შეეკი-
თხე ზღვას, — უთხრა ჰეინტამ.

მიწა უფრო შეფიქრიანდა, მით უმეტეს, რომ იმ დღეს
ზღვა როგორიდაც ბორგავდა.

— შებე, როგორ ღელავს შენი მშვიდი, წყნარი ზღვა,
გესმის? — შეეკითხა ჰეინტა.

— ზღვაო! — დაიძახა მიწამ.

— თავი დამანებე, — უკმერხად უპასუხა ზღვამ: — დღეს ცუდ
გუნებაზე ვარ.

— აქამდის როგორც საყვარელ დედას, ისე გიუურებდი,
გაღმერთებდი, რომ სიცოცხლე მომანიქე, მაგრამ მოფრინდა
ჰეინტა და მიამბო, რომ შენ ბოროტი ხარ, შეუბრალებელი.
თურმე არავის ასევებ, ყველას აუბედურებ, — უთხრა მიწამ.

— რაც მსურს, იმას ვშერები, — უპასუხა ზღვამ: — აბა
გამომიგზავნე ჰეინტა, დავალრჩო ამ ტალღებში.

— მართოლია, რომ შენ გაანადგურე ლამაზი, სალ-
კლდოვანი ქვეყანა, კოშკი, ადამიანები, ირმები, ტყე და
ფრინველები?

— დიალაც შესაძლებელია! სად მასსოვს ძველი აშები!
რაც მსურს, იმას ვშერები, — ამაყად უპასუხა ზღვამ.

— აი, ეს აფქიო იმ კოშკს ეკუთვნოდა?

— რასაკეირველია რომელსამე კოშკს ეკუთვნოდა; მაგ-
რამ ას ნიშნავს ეგ შენი სიტყვები? არ დაივიწყო, რომ
მე მეკუთვნი: ჩემი შექმნილი ხარ. ებლა-კი თავი დამანებე და
გამიტორთხილდი.

მიწა უწარედ დანალვლიანდა.

“ ၁၅၃၀ ခုနှစ်တွင် မြန်မာရှိသူများ ပေါ်လေ့ရှိခဲ့သူများ ဖြစ်ပါသည်။

— Այ մոլորդներուն, ներառ մեջը լցուած, — ստվար զլցիթիա.

— ბარემ ხვილამდისაც დაეტჩები; ერთად ვილაპარაკოთ,
— უთხრა მიწას ჰვინტამ.—შესმის შენი მდგომარეობა, ძე-
ლია, როცა ამისთანა ამბები ვესმის. მაგრამ რა კუკით. სი-
მართლე ყველასა სჯობს!

ମିଟ୍ଟିଙ୍କ ସାହୁମିଳା.

დაღუმდა. ვლეხს ოჯახობით ტებილად ეძინა, გძინა კვინტასც. ზღვა-კი ბორგევდა, ლრიალებდა. ცაშე შევ-ლრუბელი მიდი-მოდიოდა.

უეპროდ მიწა გამოერკვით.

— ମୋରିଗ୍ରାମ, ମୋରିଗ୍ରାମ ଶଲ୍ପାଳ!

— რას ბოდივ? — დაიღურიალა ზღვამ: — შენ, შენ ჰპედავ წევ ლანძლეს, მოანძლოვ მე, რომელმაც სიცოცხლე გაიტაქ?

—ბოროტო, ბოროტო ზღვაო! —შექვედია მიწამ. — ქურდი, ცრუო, შენ რა გეკუთნოდა და მე რა მო-
მეცი? კლდე დაანგრიე და აქ მოიტანე; ეგაა შენი კეთილი
საქმე? ახლა-კი გიცნობ-რა შეილიცა ხარ!

—କାଳ କିମ୍ବଦ୍ବାରା?—ଶ୍ରୀକୃତିବାବୁ ଶିଖାଃ—ମେ
ହାନିରେ ବୁଦ୍ଧି ପାଇଁ, କାନ୍ତିକାରୁପ ଶୈଖଦୟରେ ଶିଖାନ୍ତିରେ, ଲା-
କାନ୍ତିକାରୁପ ପାଇଁ, କାନ୍ତିକାରୁପ ଲାକାନ୍ତିକାରୁପ ଅଳ୍ପାନ୍ତିରେ
ପଥରେ ପାଇଁ।

—ქურდო, ცრუო, მატყუარივ,—განვერძობდა მიწა:—
კლდე დანგრივ და ისე ამაშენე?

— უმაღლესობი ბავშვო, — დაიღრითიალა ზღვებ და ევროპა-
კორეზე, ჩანგრია იგი, მილენტ-მოლენტი არე-მარე და შოანთ-
ქა გლეხი ოჯახობით.

სოფიაში სისწოდელით მოხდა ყველა ქს. შთანთქა არე-
ბარე, მთლიანდ კულტისის გუმბათი-ლა სჩენდა.

గణ్ణబోస డాల్ఫినీ మండాల్సి బ్రెజ్ గాల్డార్ క్రెన్ నిల్సన్ ప్రొపెర్టీల్
